ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N242

(კონსოლიდირებული ტენდერი CON190000179)

ქ. თბილისი 02 აპრილი 2019 წელი

ერთის მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა N8, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 204383176, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი შსს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის თია მელაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს"სუფთა წყალი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 205150655; მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის 118; ტელ: (+995 32) 2 439 439 ელ.ფოსტა: info@binuli.ge; საბანკო რეკვიზიტები: სს საქართველოს ბანკი; ბანკის კოდი: BAGAGE22; ა/ა: GE13BG0000000129766400) შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი კალმახელიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული სხვადასხვა საკვები პროდუქტების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2019 წლის განმავლობაში სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 04 დეკემბრის №2296 განკარგულების საფუძველზე, სხვადასხვა საკვები პროდუქტების 2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (**CON190000179 -** შემდგომში კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და სატენდერო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

1.4. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. საქონელი - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. სატენდერო კომისია – „2019 წლის განმავლობაში სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 04 დეკემბრის №2296 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8. სატენდერო დოკუმენტაცია - 2019 წლის 22 თებერვალს გამოცხადებული სასმელი წყლის შესყიდვა 19 ლიტრიანი ბალონით დისპენსერისათვის 2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (**CON190000179**) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.9. „ფორსმაჟორი“ - ,,მხარეები“ -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სამარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ძირითადი პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სასმელი წყლის 19 ლიტრიანი ბალონით დისპენსერისათვის შესყიდვა (CPV კოდი: 41100000 - ბუნებრივი წყალი) სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე გამოქვეყნებული **CON190000179** სატენდერო დოკუმენტაციით, დანართებით, მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული პირობებითა და ტარიფებით.

2.2. შესასყიდი საქონლის საორიენტაციო რაოდენობა დანართი N1-ის შესაბამისად.

2.3. ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი საქონლის რაოდენობა საორიენტაციოა და შესაძლებელია შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში

2.4. მიმწოდებლის მიერ მოსაწოდებელი სურსათი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მათ შორის:

2.4.1. მიწოდებული პარტია ორგანოლეპტიკური, ფიზიკო-ქიმიური, მიკრობიოლოგიური და სანიტარულ ჰიგიენური მაჩვენებლებით პარამეტრების მნიშვნელობით უნდა შეესაბამებოდეს პროდუქტის უვნებლობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს.
2.4.2. პროდუქტის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვისა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.
2.4.3. თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს ქარხნული წარმოების, ჰერმეტული შეფუთვით სათანადოდ ეტიკეტირებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N441 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, ხოლო 2019 წლის პირველი მარტიდან საქართველოს მთავრობის 2016 წლის პირველი ივლისის N301 დადგენილებით დამტკიცებული „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.
2.4.4. პროდუქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N719 დადგენილებას „დაფასოებული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.
2.4.5. პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებითა და ნორმებით“ (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N301/ნ ბრძანებით) განსაზღვრულ სანიტარულ მოთხოვნებს. საკვები პროდუქციის დამუშავების ეტაპებზე და წარმოებაში პროდუქციის ახალი სახეობის ჩაშვების, მისი გადამუშავების, წარმოების, შენახვის, ტრანსპორტირების, შესყიდვის, ქვეყანაში შემოტანისა და რეალიზაციის დროს (შემდგომში – საკვები პროდუქციის მიმოქცევისას).
2.4.6. პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N72 დადგენილებით დამტკიცებული ,,სურსათთან დაკავშირებული ტარის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დამტკიცების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, პროდუქტის შესაფუთ მასალებსა და ნაკეთობებში ქიმიურ ნივთიერებათა საკონტროლო მაჩვენებლებისა და მიგრაციის დასაშვებ რაოდენობას, რომელიც ზიანს არ აყენებს პროდუქტს და უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა **29500 (ოცდაცხრა ათას ხუთასი) ლარი.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს

4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. N5.

4.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან კვირაში ერთხელ 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში არაუმეტეს თვეში ერთხელ, განახორციელოს დამატებითი მოთხოვნა საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მოწოდება განახორციელოს ასეთი მოთხოვნის დაფიქსირებიდან 2-5 დღეში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო მიმწოდებელი, თავის მხრივ, ვალდებულია დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა

4.4. დანართი N1-ში მითითებული რაოდენობები საორიენტაციო ხასიათისაა და ემსახურება მიმწოდებლის ინფორმირებასა და მიწოდების პირობების (ლოჯისტიკის შესაძლებლობების) შეფასებას

4.5. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება დანართი N1-ის შესაბამისად.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია

ა) საკუთარი ხარჯებით, უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შეუფერხებლად მიწოდება; ამასთან, იგი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და საქონელი იქნება მიწოდებული სათანადო მდგომარეობაში, შეფუთვა არ იქნება დაზიანებული, ხოლო წარწერები საქონელსა და ეტიკეტებზე იქნება კითხვადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ბ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

გ) იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებს საქონლის მიწოდებას დროულად, გულისყურით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, აცნობოს მას შეფერხების მიზეზი და შექმნილი პრობლემის აღმოფხვრის საბოლოო ვადა.

დ) ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ასევე მოქმედების დასრულების შემდეგაც, აღმოჩენილი ხარვეზის ან/და ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში მიწოდებული საქონელი შეცვალოს ახლით, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
ე) მჭიდროდ ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან საქონლის მიწოდების განრიგის, სიხშირის, მიწოდების ადგილისა და თითოეულ მისამართზე მისაწოდებელი პროდუქტის რაოდენობის დაზუსტების მიზნით.
ვ) უზრუნველყოს საქონლის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურად გამართულ, სუფთა მდგომარეობაში ყოფნა და ისინი უნდა პასუხობდნენ ჰიგიენურ ნორმებს და იყვნენ ვარგისნი განსაზღვრული კატეგორიის საქონლის ტრანსპორტირებისთვის.
ზ) შემსყიდველ ორგანიზაციაში დოკუმენტის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მას დაურთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე. შემსყიდველი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი დოკუმენტის ორიგინალის ან/და ნოტარიულად დამოწმებული ასლის წარმოდგენა, რომლითაც შესაძლებელი იქნება წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება;
თ) უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციითა და შემსყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) დაიცვას მიწოდებულ პროდუქციის ეტიკეტზე დატანილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საქართვლოს კანონმდებლობით დადგენილი პროდუქციის შენახვის წესები.
ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
გ) შეასრულოს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დაკისრებული ვალდებულებები.
დ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და საქონლის მიღება-ჩაბარების წესი
6.1. შემსყიდველის მიერ საქონლის მიწოდების ვადების, ხარისხისა და მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი ხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად
6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან გამოყოფილი იქნება/იქნებიან შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი:
6.2.1. **სახელმწიფო ბიუჯეტის** დაფინანსების წყაროს მიხედვით კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი კერძოდ, შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის მარაგებით უზრუნველყოფის სამმართველოს მარაგების უზრუნველყოფის სამსახურის კვების პროდუქტების უზრუნველყოფის განყოფილების მთავი სპეციალიტი ნანა მჭედლიძე.
6.2.2. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების წყაროს მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენს კერძოდ, შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის მარაგებით უზრუნველყოფის სამმართველოს მარაგებით მართვის სამსახურის უფლებამოსილი პირი;
6.3. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიწოდებული საქონლის ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე
6.4. ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი ვალდებულებების შესრულება **კერძოდ**:
6.4.1. იმპორტირებული პროდუქტის მოწოდების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და შესაბამისობის სერტიფიკატი. ხოლო ადგილობრივი წარმოების შემთხვევაში მხოლოდ ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და შესაბამისობის სერტიფიკატი.
6.4.2. ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, სატენდერო კომისია უფლებამოსილია, 2019 წლის განმავლობაში არაუმეტეს ერთხელ განახორციელოს მიწოდებული საქონლის ნიმუშის აღება ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციაში და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში" ან სხვა აკრედიტირებულ ორგანიზაციაში შემოწმება. შემოწმებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი (მათ შორის ხარჯების ანაზღაურებას). ლაბორატორიული შემოწმების ოქმებში მითითებული მაჩვენებლებით უნდა დგინდებოდეს ხელშეკრულების ტექნიკური სპეციფიკაციით მოთხოვნილი მაჩვენებლები და პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი შესაბამისი სტანდარტებით განსაზღვრულ ხარისხის და უსაფრთხოების მაჩვენებლებს
6.4.3. ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, 2019 წლის განმავლობაში არაუმეტეს ორჯერ განახორციელოს საქონლის ნიმუშის აღება და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში" ან სხვა აკრედიტირებულ

ორგანიზაციაში შემოწმება. შემოწმებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი (მათ შორის ხარჯების ანაზღაურებას). ლაბორატორიული შემოწმების ოქმებში მითითებული მაჩვენებლებით უნდა დგინდებოდეს ხელშეკრულების ტექნიკური სპეციფიკაციით მოთხოვნილი მაჩვენებლები და პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი შესაბამისი სტანდარტებით განსაზღვრულ ხარისხის და უსაფრთხოების მაჩვენებლებს.

6.4.4. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარუდგინოს მას ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებიც განახორციელებენ უშუალოდ საქონლის მიწოდებას. აგრეთვე, იმ სატრანსპორტო საშულებების შესახებ, რომლითაც განხორციელდება საქონლის მიწოდება. აღნიშნული პირების/სატრანსპორტო საშუალების ცვლილების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ განახორციელოს შემსყიდველის ინფორმირება

6.4.5. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარუდგინოს მას ინფორმაცია იმ პირების შესახებ, ვინც განახორციელებს უშუალოდ საქონლის მიწოდებას. აგრეთვე, იმ სატრანსპორტო საშუალებების შესახებ რომლითაც განხორციელდება საქონლის მიწოდება. აღნიშნული პირების/სატრანსპორტო საშუალების ცვლილების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ მოახდინოს შემსყიდველის ინფორმირება.

6.5. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების ეტაპზე წარმოშობილი დავის შემთხვევაში, უნდა მოხდეს სადავო საქონლის ნიმუშის დალუქვა და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში" ან სხვა აკრედიტირებული პირიში ტრანსპორტირება მიმწოდებლის მიერ, მისივე ხარჯებით. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა დაადგენს, რომ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პარამეტრებსა და მოთხოვნებს, ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა დაადგენს, რომ საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პარამეტრებსა და მოთხოვნებს, ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი, გარდა ხელშეკრულების 6.4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა

6.6. პროდუქტის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საწარმოში/სასაწყობე ფართში ინსპექტირების მიზნით მიმართოს შესაბამის ორგანოებს

6.7. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის ახლით შეცვლა

6.8. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის განმავლობაში არაუგვიანეს **17:30 სთ-ისა. 17:30 სთ-ის** შემდეგ „შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი თქვას საქონლის მიღებაზე. თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით

6.9. თუ მხარეთა შორის შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის თანახმად, მიწოდება ხორციელდება სამუშაო დღეს და კონკრეტული დღე ემთხვევა ოფიციალურ დასვენების დღეს, მიწოდების დღე უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან

7. ანგარიშსწორების წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით

7.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ანგარიშსწორება განახორციელოს მიწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან და შსს შესაბამისი სამსახურის მიერ ეკონომიკურ დეპარტამენტში წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.4. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციაში წარადგინოს საავანსო საბანკო გარანტია, შემსყიდველის მიერ მითითებულ თანხაზე (მაგრამ არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 20%-სა), იმ მიზნით რომ 2019 წლის 23 დეკემბრიდან 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით მისაწოდებელი საქონლის ანაზღაურება განხორციელდეს 2019 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

7.5. მიმწოდებელმა არაუგვიანეს 2019 წლის 23 დეკემბრისა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამის თანხაზე გაცემული უპირობო და გამოუთხოვადი საავანსო საბანკო გარანტია (საავანსო საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში), რომლის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდალური დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადას. თავის მხრივ შემსყიდველი ვალდებულია არაუგვიანეს 2019 წლის 17 დეკემბრისა აცნობოს მიმწოდებელს, რომ იგი ითხოვს საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენა

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს

მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

9.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოა, ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, რომელიც გაცემულია 2019 წლის 28 მარტს სს „საქართველოს ბანკის“ მიერ - სერიული ნომერი #PE44287-19 - საერთო თანხით - 1475 ლარი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მისი მოქმედების ვადაა 2020 წლის 01 მარტის ჩათვლით

9.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს მინიმუმ 2020 წლის 01 მარტის ჩათვლით

9.3. თუკი მიმწოდებელს შესრულებული აქვს ყველა ვალდებულება, იგი უფლებამოსილია შემსყიდველი ორგანიზაციიდან გამოითხოვოს საბანკო გარანტია

9.4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით

9.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაუბრუნოს საბანკო გარანტია წერილობითი მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით

10.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, თუ ვადის გადაცილება ეხება საქონლის მიუწოდებლობას (მათ შორის ხარვეზის ან/და ნაკლის გამოსწორების ვადა) შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის 0,2%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ დღეში **100 (ასი)** ლარისა

10.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0.2%-ის ოდენობით

10.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულების 10.2. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ დღეში **100 (ასი)** ლარისა

10.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ ნაწილობრივი შეუსრულებლობა ეხება საქონლის მიუწოდებლობას და შემსყიდველ ორგანიზაციას აღარ გააჩნია აღნიშნულის შესრულების ინტერესი, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ **500 (ხუთასი)** ლარი

10.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულების 10.5. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა ან/და ლაბორატორიული დასკვნების ვადაგადაცილების/წარმოუდგენლობისა, მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ **50 (ორმოცდაათი)** ლარისა

10.7. უარყოფითი ლაბორატორიული დასკვნის (უარყოფითად ჩაითვლება ლაბორატორიული დასკვნა, სადაც კვლევის ობიექტის (პროდუქტის) ნებისმიერი პარამეტრი/მონაცემი არ შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, სტანდარტებს, ან/და წინამდებარე ხელშეკრულებას) წარმოდგენის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო თუ შეუსაბამობა ეხება ისეთ პარამეტრს/მონაცემს, რომელმაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, საკითხის გადაწყვეტის მიზნით

10.8. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 3-ჯერ ან მეტჯერ დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, საკითხის გადაწყვეტის მიზნით

10.9. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, რომელი გარემოებების გათვალისწინებითაც შემსყიდველი ორგანიზაცია მიიჩნევს მიზანშეწონილად ხელშეკრულების შეწყვეტას, იგი უფლებამოსილია მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით

10.10. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შემსყიდველის მომართვის შემთხვევაში, სატენდერო კომისია, უფლებამოსილია იმსჯელოს კონკრეტული ხელშეკრულების ან/და კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით

10.11. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს ჩამოერთმევა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

10.12. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

11.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

11.3. ერთი მხარის მიერ მეორისგან მიღებული საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია ითვლება მკაცრად კონფიდენციალურად ამ შეთანხმების, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ასევე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ. მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ არ დაუშვან მესამე პირთან მიღებული ინფორმაციის გახმაურება.

11.4. ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად, რაც არ საჭიროებს დამატებით შეთანხმებას

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 02 აპრილიდან და მოქმედებს 2020 წლის 01 მარტამდე.

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები

N	საქონლის დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	წარმოების ქვეყანა	მწარმოებელი	ჯამური საორიენტაციო რაოდენობა	განზომილება	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ღირებულება
3	სასმელი წყალი - ბინული	სასმელი წყალი ბინული 19 ლიტრიან პოლიკარბონატის სახელურიანი ჭურჭელში, ჰერმეტულად დახურული, ბრენდული ეტიკეტით, შესაბამისი თანდატანილი მონაცემებით. განკუთვნილია წყლის დისპანსერებზე დასამაგრებლად (შემადგენლობა, მახასიათებლები) გააჩნია ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი. შემცველობა: მგ/ლ Ca^{2+} :45-65 Mg^{2+} :5-12 Na^{+} :5-15 K^{+} :0.6-1.4 Cl^{-} :6-12 HCO^{-}_{3} :150-200 SO^{2-}_{4} :8-32 NO^{-}_{2} :<0,1; შემსყიდველისათვის დროებით სარგებლობაში გადასაცემი დისპენსერების რაოდენობაა - 150 ცალი (მინიმუმ ორ ონკანიანი). ბალონები შემსყიდველს გადაეცემა უსასყიდლოდ - დროებით სარგებლობაში, ყოველი მომდევნო ახალი პარტიის მიწოდებამდე. ერთ ჯერზე მისაწოდებელი ბალონების მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 ცალს. ბალონი უნდა იყოს შესაბამისი მარკირებით. შენახვის ვადა წარმოებიდან არანაკლებ 3 თვე, ხოლო მიწოდებიდან არანაკლებ 2 თვე	საქართველო	შპს სუფთა წყალი	5000	ცალი	5,90	29 500

BANK OF GEORGIA
BUSINESS

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია # PE44287-19

28 მარტი 2019 წელი

თბილისი
გარანტი: სს საქართველოს ბანკი (შემდგომში „გარანტი“)
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს სუფთა წყალი (შემდგომში „პრინციპალი“)
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 205150655
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ფალიაშვილის,118
ბენეფიციარი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შემდგომში „ბენეფიციარი“)
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 204383176
საგარანტიო თანხა: 1,475 (ერთი ათას ოთხასსამოცდათხუთმეტი) ლარი
ტენდერის უნიკალური ნომერი: #CON190000179

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა 19 ლიტრიანი ბალონით სასმელი წყლის მიწოდების მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 1,475 (ერთი ათას ოთხასსამოცდათხუთმეტი) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე, მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, საბანკო რეკვიზიტები და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის საჭიროების გარეშე. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ბანკი უფლებამოსილია არ მოითხოვოს აღნიშნული საბუთი, თუ ხელმომწერი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია) და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს: 01 მარტი 2020 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი წერილობით მოთხოვნის ორიგინალი დოკუმენტი თანხის ანაზღაურებაზე, გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნას გარანტიის მოქმედების ვადის ჩათვლით სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ, თბილისის დროით (UTC / GMT +04: 00 საათი) 17:00 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: გაგარინის ქ.#29ა, თბილისი 0160, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება/მცირდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით;
- ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიის თანხის შემცირების შესახებ წერილობითი შეტყობინებით.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,
ეთერ ჩხეიძე
გარანტიების სამსახურის უფროსი

სს „საქართველოს ბანკი“
საქართველო, თბილისი 0160
გაგარინის ქ. №29ა

Bank of Georgia
29A Gagarini Str.,
Tbilisi 0160, Georgia

www.corporate.ge
(0 32) 2 444 444